ფოთის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი №3

ქ.ფოთი 23 ოქტომბერი, 2017 წელი

თავმჯდომარე:

ელენე ურიდია - ფოთის საქალაქო სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - **შოთა სირაძე** - ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

საკონკურსო კომისიის წევრები:

თამარ თოდუა - ფოთის საქალაქო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწე - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ეკატერინე ბაბილუა - ფოთის საქალაქო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწე - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

კობა კემულარია - ფოთის საქალაქო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მანდატური - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;

დავით კვიციანი - დამოუკიდებელი სპეციალისტი, ა(ა)იპ კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის დირექტორი.

ბექა ქინქლაძე - დამოუკიდებელი სპეციალისტი, საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე - მოხელეთა პროფესიული კავშირის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე ჩატარებული კონკურსის განხილვა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ფოთის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, ელენე ურიდიას, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის

შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების საფუძველზე, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, **2017 წლის 15 სექტემბერს** გამოცხადდა ღია კონკურსი ფოთის საქალაქო სასამართლოს აპარატის შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

- სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მანდატური - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მათგან, ვინც განცხადება წარადგინა ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, საკონკურსო კომისიის 2017 წლის 10 ოქტომბრის №2 ოქმის თანახმად წარმატებით გაიარა კონკურსის პირველი ეტაპი - კანდიდატების განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და **2017 წლის 23 ოქტომბერს** მოწვეულ იქნა კონკურსის მეორე ეტაპზე, გამოცხადდნენ შემდეგი პირები:

1.	ირაკლი ჭანტურია	სასამართლოს მანდატური
2.	სოფიკო ბადრიშვილი	სასამართლოს მანდატური
3.	თათია დავითაია	სასამართლოს მანდატური
4.	მზექალა ხუსკივაძე	სასამართლოს მანდატური
5.	თეა ესებუა	სასამართლოს მანდატური
6.	დარიკო ბიგვავა	სასამართლოს მანდატური

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არ გამოცხადდნენ შემდეგი პირები:

1.	თამარ ფანცულაია	სასამართლოს მანდატური
2.	გიორგი ლილუაშვილი	სასამართლოს მანდატური
3.	ნინო ღურჯია	სასამართლოს მანდატური
4.	გიორგი წალდაძე	სასამართლოს მანდატური
5.	დავით ბოჭოიძე	სასამართლოს მანდატური
6.	ლაშა ფარცვანია	სასამართლოს მანდატური
7.	დავით აბულაძე	სასამართლოს მანდატური
8.	მარიკა დარჯანია	სასამართლოს მანდატური
9.	ნანა ფირცხალავა	სასამართლოს მანდატური
10.	სოფიო ხომასურიძე	სასამართლოს მანდატური
11.	ნუგზარ ხითარიშვილი	სასამართლოს მანდატური
12.	ირაკლი ბოლქვაძე	სასამართლოს მანდატური

საკონკურსო კომისიის წევრების მიერ თითოეულ კონკურსანტს საკონკურსო კომისიის 2017 წლის 11 სექტემბრის №1 სხდომის ოქმით დამტკიცებული თემატიკის შესაბამისად მიეცათ ზეპირი დავალება და დაესვათ შეკითხვები. შეფასდა კონკურსანტების გამოცდილება და პიროვნული მახასიათებლები;

საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე თითოეულ პირს ცალ-ცალკე ეყარა კენჭი. მიენიჭათ შესაბამისი შეფასებები და ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მანდატურის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარედგინა **მზექალა ხუსკივაძის** კანდიდატურა, რომელმაც ამომწურავი და კომპეტენტური პასუხი გასცა დასმულ შეკითხვებზე.

კონკურსზე გამოცხადებული კანდიდატების შეფასების ფორმები და კონკურსანტების გასაუბრების პროცესის ამსახველი ვიდეო ჩანაწერები ერთვის ფოთის საქალაქო სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის (კონკურსანტებთან გასაუბრების) სხდომის №3 ოქმს და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს.

ოქმი დაუყოვნებლივ წარედგინოს ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესა და სასამართლოს მენეჯერს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე
ელენე ურიდია

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

შოთა სირაძე

კომისიის წევრები:

თამარ თოდუა

ეკატერინე ბაბილუა

კობა კემულარია

დავით კვიციანი

ბექა ქინქლაძე